26.10.2022წ.საშემსრულებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის N2

დანართი N1.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“

მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები“

შემოქმედებითი ტური მუსიკის თეორიაში:

სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა),

ფურცლიდან კითხვა (ზეპირი),

ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (წერა).

2.მუსიკის თეორია: აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით

სმენითი ანალიზი (ფასდება 25 ქულით)

1. კილო: სამი სახის მაჟორი; სამი სახის მინორი; ორმაგად ჰარმონიული მაჟორი და მინორი; მაჟორული და მინორული პენტატონიკა; დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული). (გამოცდაზე შესრულდება 5 კილო, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ) - თითო კილო ფასდება 2 ქულით

2. ინტერვალი: მარტივი და შედგენილი: ყველა წმინდა, დიდი და პატარა, გადიდებული და შემცირებული (+4; -5; -4; +5; +2; -7; -3; +6) გადაწყვეტით. (გამოცდაზე შესრულდება 5 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ) - თითო ინტერვალი ფასდება 2 ქულით

3. აკორდი (მჭიდრო და ფართო განლაგებით): სამხმოვანება - მაჟორული, მინორული და შემცირებული შებრუნებებით, გადიდებული მხოლოდ ძირითადი სახის. სეპტაკორდი - მცირე მაჟორული, მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შებრუნებებით, შემცირებული, მცირე მაჟორული სექსტით (მაჟორში). ნონაკორდი მაჟორული - დიდი და პატარა. აკორდები იკვრება გადაწყვეტის გარეშე. (გამოცდაზე შესრულდება 5 აკორდი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ) - თითო აკორდი ფასდება 1 ქულით

ფურცლიდან კითხვა - ფასდება 25 ქულით

ერთხმიანი ნიმუშის ფურცლიდან კითხვა - სოლფეჯირება . მელოდია წარმოდგენილი იქნება ვიოლინოს ან ბანის გასაღებში (აბიტურიენტის საკრავის სპეციფიკის გათვალისწინებით), ერთტონალური, მეტწილად მდორე მოძრაობის, ტონალობებში 2 საგასაღებო ნიშნის ჩათვლით.

ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი). **ფასდება 50 ქულით**

ტესტი შეიცავს 10 საკითხს მუსიკის თეორიის კურსიდან.

1. ბგერა და მისი თვისებები.

2. ბგერათრიგი.

3. სანოტო დამწერლობა.

4. მეტრი. რიტმი.

5. ინტერვალები.

6. აკორდები.

7. კილო. ტონალობა.

8. ქრომატიზმი.

9. ტრანსპოზიცია.

10. ტემპი. აგოგიკა. დინამიკა.

11. მელიზმები.

12. მელოდია.